წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2022 წლის 20 იანვრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში

2022 წლის 20 იანვრიდან - 1 ნოემბრამდე საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა, აქედან 11 გეგმიური, 4 რიგგარეშე და 17 ბიუროს სხდომა. როგორც საკრებულოს, ასევე ბიუროს ყველა სხდომას ვუძღვებოდი მე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არის 5 მუდმივმოქმედი კომისია და 3 ფრაქცია.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის საკრებულოს მიკუთვნებული უფლებამოსილებების შესაბამისად:

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე ადგილობრივი მოსახლეობიდან შემოსული განცხადებისა და შესაბამის კომისიაზე განხილვისა და სამთავრობო კომისიიდან მიღებული თანხმობის საფუძველზე

_ქ.წალენჯიხაში მაიაკოვსკის ქუჩას გადაერქვა სახელი და ეწოდა ვალერი ჭანტურიას ქუჩა;

-გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასთან დაკავშირებით ორი განცხადება დოკუმენტაციასთან ერთად, გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, ველოდებით პასუხს, ერთ განცხადებასთან დაკავშირებით კი დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება.

ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში

-ცნობილ იქნა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება;

-საკრებულოს პირველივე სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს რეგლამენტი;

-არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

-არჩეულ იქნა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობა და კომისიის თავმჯდომარეები;

-საკრებულოში კონკრეტული საკითხის შესწავლის მიზნით შპს-„ენგურჰესთან“ დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი;

_დაფუძნდა საკრებულოს სამი ფრაქცია (ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);

_დამტკიცდა საკრებულოს სამუშაო გეგმა;

-დამტკიცდა საკრებულოს აპარატის დებულება და საშტატო ნუსხა.

მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა, აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში:

-დამტკიცდა მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებები და საშტატო ნუსხა;

-საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიები და ფრაქციები, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლის მიზნით, პერიოდულად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენას სამ თვეში ერთხელ, ანგარიშების მოსმენისას ვაძლევთ რეკომენდაციებს, ვსახავთ სამომავლო ღონისძიებებს.

10 . 13 . 2022

10 . 18 . 2022

HACCP
10 . 18 . 2022

10 . 18 . 2022

საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში

-საკრებულოს მიერ განხილულ და დამტკიცებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, რომლის შესაბამისად დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა **25,325.5** ათასი ლარი;

-მათ შორის საკუთარი შემოსავლები **12,460.0** ლარი;

-ინფრასტრუქტურის განვითარება **1,252.9** ლარი;

-მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა **1,539.149** ლარი;

-კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტულ ღონისძიებებზე **1,566.0** ლარი;

-განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების საქართველოს კანონმდებლობით საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების სისტემის გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვისა და მართვის სფეროში

-მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

-მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცება;

-მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

-მერისთვის თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის უძრავი და მოძრავი ქონების პირობით ან უპირობოდ პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

სოციალურ სფეროში

-ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე ინიციატივების წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემუშავდა პროგრამა „შენი იდეა წალენჯიხას“, საკრებულოში შექმნილი საკრებულოსა და მერიის ერთობლივი კომისიის მიერ კონკურსით გამოვლინდა სამი გამარჯვებული იდეა.

-გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შემუშავება;

მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქმიანობა. მუნიციპალიტეტში 2022 წლის მარტის თვეში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც დაკომპლექტდა საკრებულოს წევრებითა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებით. საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა და დამტკიცდა გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა. გენდერის საბჭოს წევრები მაქსიმალურად არიან ჩართული გენდერული კუთხით სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ აქტივობებში, საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა გენდერულ ჭრილში სხვადასხვა მუნიციპალურ პროგრამებით მოსარგებლეთა ნუსხა, გარკვეული საკითხის უფრო ღრმად კვლევის მიზნით ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა ფოკუს ჯგუფის ჩართულობით კვლევა თემაზე-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ხელმისაწვდომობა სამედიცინო საკითხებზე“, ასევე შესწავლილ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის , განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და დამოკიდებულება მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მიმართ.

10.12.2022

10.12.2022

-„**<u>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ</u>**“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ინიციატივით განხორციელდა ცვლილებები მოქალაქეთა შეხვედრების დროს გამოთქმული საჭიროებების გათვალისწინებით:

-**<u>წარჩინებულ სტუდენტთა თანადაფინანსების</u>**, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის და ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებში ცვლილების შეტანით, გაიზარდა ამ პროგრამით მოსარგებლეთა კონტიგენტი;

-**<u>თირკმლის დიალეზზე</u>** მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამაში ცვლილებით ბენეფიციართა ტრანსპორტირების საფასური გახდა **150** ლარი;

-<u>სტაციონალური მკურნალობის შემდგომ ბინაზე</u> კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული თანხა თითოეულ ბენეფიციარზე გაიზარდა **100** ლარით და გახდა **200** ლარი;

-<u>ჩვენი ინიცირებით, მერიის მიერ შემუშავებულ იქნა</u>:

ა) მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა;

ბ) მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა, აღნიშნული პროგრამა შესაძლებელს გახდის საზღვრისპირა მოსახლეობის კერძოდ მუჟავა, ფახულანის ადმინისტრაციული ერთეულების და ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ტრანსპორტირების სერვისით უზრუნველყოფას.

სანგარიშო პერიოდში გაიმართა

-სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 14 სხდომა;

-საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 13 სხდომა;

-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 9 სხდომა;

-სოციალურ საკითხთა კომისიის 13 სხდომა;

-ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 11 სხდომა;

-საკრებულოს მორიგი სხდომები საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად იმართება ყოველი თვის ბოლო პარასკევს;

-საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოქალაქეთა მიღების დღეა ყოველი კვირის ოთხშაბათი დილის 10 საათიდან 15 საათამდე;

-საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 35 დადგენილება, 47 განკარგულება, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოიცა 70 ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი ბრძანება;

-ამ პერიოდში სულ რეგისტრირებულია 679 კორესპოდენცია, მათ შორის 41 განცხადება, რომლებზეც მოხდა სათანადო რეაგირება-განხილულ იქნა საკრებულოს შესაბამისი კომისიების მიერ, ასევე ნაწილი განხილულ იქნა ფრაქციების სხდომებზე და კომისიებისა და ფრაქციების შენიშვნებითა და წინადადებებით შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას;

-გასული კორესპოდენციების რაოდენობა შეადგენს 237;

-ელექტრონულად შემოსულია-393;

-საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით საანგარიშო პერიოდში სულ შემოსულია 8 განცხადება, რომლებზეც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაიცა პასუხი.

მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტის ფორმირების პროცესში

-საკრებულოს წევრებთან ერთად, აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხილვასა და მთავარი ფინანსური დოკუმენტის-2023 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში;

-მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მათთან არსებულ საჭიროებებზე საუბარი მნიშვნელოვანია, სწორედ ამ მიზნით არაერთი შეხვედრა გაიმართა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან;

-პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესის ღიაობის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად გავმართეთ შეხვედრები მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან, სადაც იმართებოდა მსჯელობები მოსახლეობისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე, პრიორიტეტებზე, მომავალი წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელ პროექტებზე. მოხდა მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა და გარკვეული ნაწილის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცვლილების დროს გათვალისწინება;

-შეხვედრების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ახალგაზრდებთან კომუნიკაციას და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებას;

-ქ.ჯვარის, ეწერის და ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრებისას ერთერთ ძირითად პრობლემად დასახელდა წყალმომარაგების სისტემის გამართვა, ხოლო ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგებასთან ერთად საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება;

-2023 წლის წლის ბიუჯეტის პროექტში ასახვის მიზნით, შეხვედრებისას იდენტიფიცირებული საკითხები რეკომენდაციებთან ერთად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს.

PUMA

PUMA

სტიქია წალენჯიხაში

-მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში გადაუღებელი წვიმის გამო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე პრობლემები შეიქმნა.

წვიმის შედეგად დაიტბორა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები ქალაქ წალენჯიხის, ქალაქ ჯვარის, ასევე ფახულანის, ლიის, საჩინოს, ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ნაწილობრივ განადგურდა ინფრასტრუქტურა: ხიდ-ბოგირები, გზები... პრობლემები შეექმნა ტრანსპორტს .
მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდა მყისიერი რეაგირება, შეიქმნა სტიქიის შემსწავლელი კომისია, ადგილზე გავიდნენ როგორც საკრებულოს წევრები ასევე მერიის წარმომადგენლები, მოხდა პრობლემების აღრიცხვა. დაიწყო და დღემდე გრძელდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრის ღონისძიებები.

Activate Windows

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

-სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტის შესაბამისად განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები, სამუშაოები დღესაც გრძელდება. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული საკრებულოს წევრები, მათ შორის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები.

გისურვებთ წარმატებებს

მადლობა
ყურადღებისთვის